

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -**

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა**

**ოქმი № 3**

**ქალაქი ბათუმი**

**15.03.2021**

**სხდომას ესწრებოდა მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:**

1. **ნინო ინაიშვილი** - საზოგადოება „ბათომი“-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი; (ონლაინ)
2. **დავით ქობულაძე** - შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიცინის მე-5 კურსის სტუდენტი
3. **ნათია აფხაზავა** - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; (ონლაინ).
4. **მაყვალა კვირიკაძე** - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენტა ასოციაციის თავმჯდომარე;
5. **თამილა მეიშვილი** - პროფესორი, დრამისა და კინოს მსახიობი
6. **თამაზ თურმანიძე** - აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდვთა ასოციაციის თავმჯდომარე;
7. **რამინ მაჭარაშვილი** - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი, გამგეობის წევრი; (ონლაინ)
8. **ალექსანდრე შერვაშიძე** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
9. **მანუჩარ ლორია** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
10. **თამარ გუდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
11. **ირმა აფხაზავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

**დღის წესრიგი**

**წერილობითი მომართვები:**

1. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, ქოლგიანი დელფინის ავტორის, ავთანდილ ლომაძის მემორიალური დაფის განთავსება
2. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის რამაზ (ანდრია) სურმანიძის მემორიალური დაფის და ბარელიეფის განთავსების თაობაზე და ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის, მისი სახელის მინიჭების საკითხი
3. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის, ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის ფერიდე აცამბას სახელის მინიჭების საკითხის განხილვა
4. აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზისთვის ტარიელ ფუტკარაძისა და სამკითხველო დარბაზისთვის რამაზ სურმანიძის სახელის მინიჭების საკითხი

### **საბჭოს წევრების მიერ დასმული საკითხები:**

1. საბჭოს მომავალი შეხვედრების ფორმატის განსაზღვრის საკითხი.
2. საბჭოთა დროინდელი სიმბოლიკების არსებობა ქ. ბათუმის შენობებზე
3. „ამბასადორის“ მშენებლობის საკითხი
4. გარემოვაჭრეების და მათზე ნებართვების გაცემის საკითხი
5. 2021 წლის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების საკითხი

### **სხდომას ესწრებოდა აკაკი ბერიძე - ექიმი, პროფესორი**

### **აზრი გამოთქვას:**

**თამარ გუდავა:** მოგესალმებით, მინდა წარმოგიდგინოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც არის წერილობითი მიმართვის საფუძველზე დასმული. პირველი საკითხი განლავთ ბათუმის უცვლელი სიმბოლოს „ქოლგიანი დელფინის“ ავტორის, საპატიო ბათუმელის, ავთანდილ ლომაძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხი. მეორე საკითხი განლავთ, ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფის და ბარელიეფის განთავსების საკითხი, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გვესწრება დღეს ცნობილი ექიმი, ბატონი აკაკი ბერიძე. შემდეგი საკითხი არის ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის, ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის ფერიდე აცამბას სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მეოთხე საკითხი ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზისთვის ტარიელ ფუტკარაძისა და სამკითხველო დარბაზისთვის რამაზ სურმანიძის სახელის მინიჭების საკითხი. ასევე სხდომაზე განიხილება საბჭოს წევრების მიერ დასმული სხვა საკითხებიც და ამის მიხედვით შედგება დღევანდელი სხდომის რეგლამენტი.

**ნათია აფხაზავა:** პირველ რიგში, მრჩეველთა საბჭო უნდა იყოს ორიენტირებული ქალაქში არსებული პრობლემების განხილვაზე. დღეს მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბათუმის ბულვარში „ამბასადორის“ მშენებლობის საკითხი. ქ. ბათუმის მერიასთან არსებულმა საბჭომ მკაცრი რეკომენდაცია უნდა შეიმუშაოს ამ საკითხთან დაკავშირებით. მეორე საკითხი ეს არის გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემები, პანდემიის გათვალისწინებითაც თითქმის ყოველ დღე ვაწყდებით ამ პრობლემას, რომელიც რეგულაციების დარღვევით ხდება და მოუგვარებელია. ამ შემთხვევაში ვფიქრობ საბჭომ უნდა განიხილოს აღნიშნული საკითხი და მოვიწვიოთ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მესამე საკითხი არის ბიუჯეტის კორექტირებასთან დაკავშირებული საკითხი. ვფიქრობ საბჭომ უნდა შეიმუშაოს ცვლილებების პროექტი და ვიმსჯელოთ ამ კუთხითაც, ხოლო ბოლო საკითხი არის საბჭოს შეხვედრების ფორმატის განსაზღვრის საკითხი, ვფიქრობ საბჭო სრულად უნდა გადავიდეს ZOOM-ის პლატფორმით შეხვედრების ფორმატზე, რომელიც უფრო კომფორტული იქნება ყველასთვის.

**თამარ გუდავა:** ქალბატონო ნათია, ბოლო საკითხი ვფიქრობ უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით რომ გადავწყვიტოთ უფრო სამართლიანი იქნებოდა. ან იქნებ დავტოვოთ ისე როგორც არის, ყველა ადამიანი მა მიიღოს საბჭოს სხდომაში მონაწილეობა ისე, როგორც მისთვის იქნება კომფორტული, ზოგი დარბაზში მოვა და ზოგი სურვილის შემთხვევაში ჩაერთვება ზუმის საშუალებით.

**თამაზ თურმანიძე:** მოგესალმებით, თითქმის 1 წლის განმავლობაში ვატარებთ Zoom-ით საერთაშორისო შეხვედრებსაც და მართლაც მტკივნეულია ეს საკითხი. თუმცა ჩემი აზრით პირადი შეხვედრები უფრო კომფორტული და უფრო ნაყოფიერი იქნება საბჭოს მუშაობისთვის ვიდრე დისტანციური.

**ალექსანდრე შერვაშიძე:** მხარს ვუჭერ პირად შეხვედრებს. საბჭოს არ უწევს ყოველკვირეულად შეკრება და შესაბამისად დისტანციის და რეგულაციების დაცვით არანაირი პრობლემა არ უნდა შეიქმნას.

**ირმა აფხაზავა:** ჩემი საქმიანობიდან და დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე აქ მირჩევნია მოსვლა. სამსახურიდან ჩართვის შემთხვევაში, იქ ბოლომდე შეიძლება არ გამომივიდეს კონცენტრაცია საბჭოს საკითხებზე, არ მაქვს არავის სურვილთან საწინააღმდეგო, თუმცა პირადად ჩემთვის დარბაზში შეხვედრები უფრო უკეთესი იქნება, მით უმეტეს ახლა როცა ამის საშუალებას გვაძლებს უკიდ-სიტუაცია.

**მაყვალა კვირიკაძე:** ჩემი აზრით უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირად შეხვედრებს. უნდა ვეცადოთ რომ მაქსიმალურად მივიღოთ მონაწილეობა, განვიხილოთ, გავიზიაროთ ერთმანეთის აზრი. Zoom-ში ჩართვა ჩემთვის არ არის კომფორტული.

**თამილა შეიშვილი:** ყველამ კარგად იცის რომ მე ვარ რისკ ჯგუფი წევრი. ისიც ნათელია რომ დისტანციური შეხვედრები და ასეთი სამუშაო „ნახევრად გაკეთებული“ საქმეა. მიუხედავად ამისა გავბედე და პირად შეხვედრაზე მოვედი, ვინაიდან ვფიქრობ ასეთი ფორმატი უკეთესია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ აკაკის მობრძანებისათვის. ჩემი მხარდაჭერა რამაზ სურმანიძესთან დაკავშირებულ საკითხზე. ასეთი ადამიანები აღარ გვყავს და მათი სახელობის ქუჩა იქნება, სახლი თუ სხვა, ამით უნდა უკვდავყოთ მათი საქმეები. უდიდესი მადლობა მინდა გითხრათ ინიციატორებს, სწორედ ამ საკითხის წარდგენისთვის.

**ნათია აფხაზავა:** სახელების მინიჭების თუ სხვა ამ ტიპის რეკომენდაციის გაწევაზე ვფიქრობ მოსვლა არ უნდა იყოს აუცილებელი. Zoom აბსოლუტურად გამართულია და მგონი არ უნდა იყოს არანაირი პრობლემა.

**თამარ გულავა:** ვფიქრობ, პირადი შეხვედრების უპირატესობა ის არის, რომ რა თქმა უნდა რეკომენდაციების დაცვით, დაინტერესებული პირებიც მოვლენ ამ დარბაზში. დისტანციური შეხვედრების შემთხვევაში ამის შესაძლებლობას მოვაკლებთ საზოგადოებას. თუმცა ჩემთვის პირადად, ზუმის საშუალებით ჩართვა იქნება უფრო მოსახერხებელი, თუმცა როცა საბჭოს წერების ნაწილი დარბაზში იქნებით, მე ვალდებული ვარ ვიყო აქ.

**აკაკი ბერიძე:** სანამ საბჭო მსჯელობას დაიწყებდეს მინდა ერთ საკითხებზე შევაჩერო საბჭოს წევრების ყურადღება. როგორც იცით, ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს ერქვა ვახტანგ დიასამიძის სახელი, ახლა ვიცით რომ არის კერძო საკუთრება და ჰქვია მურმან იაშვილის სახელი. ვახტანგ დიასამიძეს უდიდესი დვაწლი მიუძღვის ამ კლინიკის არსებობაში. ჩემი და არა მარტო ჩემი აზრით უხერხული იქნება მისი სახელის უგულვებელყოფა და ამ საკითხის იგნორირება. ვფიქრობ უნდა მოხდეს ბავშვთა საავადმყოფოზე ვახტანგ დიასამიძის სახელის დაბრუნება. ამასთან ერთად მე აქ მოვედი რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფის და ბარელიეფის განთავსების საკითხთან დაკავშირებით. მინდა გთხოვოთ შუამდგომლობა, რომ სწრაფად მოხდეს ამ საკითხის გადაწყვეტა. ბატონ რამაზ უდიდესი წვლილი აქვს ჩვენი ქალაქის ისტორიაში, რაშიც ყველა დამეთანხმებით.

**თამარ გულავა:** დიდი მადლობა ბატონო აკაკი თქვენი მოსაზრებების გაზიარებისთვის. რა თქმა უნდა არ ველოდით განსხვავებული და უარყოფითი აზრის მოსმენას რამაზ სურმანიძის სახელის უკვდავსაყოფად მთელი რიგი ღონისძიებები გატარდეს ჩვენს ქალაქში. ბატონი რამაზი იყო ჩვენი ქალაქის მემატიანე და უამრავი საკითხის აღმომჩენი. უახლოეს მომავალში გავივლით მერიის სამსახურებთან ერთად საკითხს, მივმართავთ თხოვნით, რომ რომელიმე ქუჩას გადაერქვას რამაზ სურმანიძის სახელი. ასევე მინდა საბჭოს წევრების პოზიცია გავიგო ავთანდილ ლომიძის მემორიალური დაფის განთავსებასთან და ბათუმში ერთ-ერთი ქუჩისთვის ფერიდე აცამბას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც თუ თქვენი მხარდაჭერა იქნება მოვამზადებთ მიმართვას, რის საფუძველზეც გატარდება შესაბამისი ზომები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაისვა საბჭოს შეხვედრაზე, გახლავთ „ამბასადორის“ მშენებლობის საკითხი. ამ თემაში ყველაზე აქტიურად ჩართულია ორგანიზაცია „ბათომი“. გთხოვთ მოვუსმინოთ ორგანიზაციის წარმომადგენლებს და შემდეგ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები. რაც შეეხება დაგეგმილ ბიუჯეტის ცვლილებებს, ვფიქრობ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გადავხედოთ ბიუჯეტს და სანამ დადგება ცვლილებების დრო, ჩვენი მოსაზრებები უნდა გამოვთქვათ მერიის შესაბამის სამსახურებისთვის. ეს მნიშვნელოვანია, იმ მიმართებითაც, რომ ახლა როცა იხსნება დაწესებული შუზღუდვები, ბიუჯეტიც უნდა ადაპტირდეს ახალ რეალობასთან. ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით თქვენი შენიშვნები, გამოგვიგზავნეთ და მოგვწერეთ, რომ დოკუმენტის სახით ჩამოვაცალიბოთ და მივმართოთ მერიის შესაბამის სამსახურებს .

**ნათია აფხაზავა:** ბულვართან მიმართებაში მრჩეველთა საბჭომ რეკომენდაცია უნდა მიაწოდოს ქალაქ ბათუმის მერიას და შესაბამის სამსახურებს, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ჩაერთოს აღნიშნული საკითხის განხილვაში. ბულვარი ეს არის ბათუმის ტეროტორია, თუმცა ქ. ბათუმის მერიას დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს ეკონომიკის სამინისტროსთვის და გვსურს რომ მერიამ დააფიქსიროს თავისი პოზიცია ბულვარის დაცვის კუთხით. მეორე საკითხი არის ის, რომ გამოცხადდეს მორატორიუმი ნებისმიერ მშენებლობასთან დაკავშირებით მანამ, სანამ დამტკიცდება განაშენიანების გეგმა და საბჭოს მხრიდან აღნიშნულის ინიციატივა იქნებოდა მნიშვნელოვანი.

**ნინო ინაიშვილი:** ყველამ კარგად იცის რომ საზოგადოება „ბათომი“ წინააღმდეგია ამ მშენებლობის. სასურველია საბჭოს წევრებმა გამოხატონ ინდივიდუალურად საკუთარი მოსაზრება. მეორე საკითხი რაზეც მინდა ვისაუბრო, ეს არის ტროტუარების ათვისების საკითხი. ძალიან ბევრგან ვხვდებით სიტუაციას, როცა რესტორნებს და კაფეებს თვითნებურად აქვთ ათვისებული ტროტუარები, რაც ხელს უშლის მოსახლეობას გადაადგილებაში. აუცილებლად უნდა დააყენოს საბჭომ ამ საკითხის მონიტორინგის აუცილებლობა, შესაბამის სამსახურებთან.

**აკაკი ბერიძე:** როგორც მახსოვს ერთ-ერთ გამოცემაში ეწერა რომ სმოგის საშიშროების თვალსაზრისით, მსოფლიოში ორი ქალაქი ყველაზე მეტად დგას, ერთი ლონდონი და მეორე ბათუმით. ვფიქრობ ქალაქის სანაპირო ზოლში დიდი შენობების აშენების საკითხი, უნდა გადაიხედოს და აღარ უნდა აშენდეს.

**თამარ გულავა:** რა თქმა უნდა სასურველი იყო, როცა ეს პროცესი იწყებოდა წლების წინ, მაშინ ყოფილიყო მასზე მკაცრი მონიტორინგი და არ აშენებულიყო ბულვარის ტერიტორიაზე მაღლივი შენობები. ახლა გასაგებია რომ რთულია უკვე აშენებულისგან გათავისუფლება, თუმცა როცა ორი მხარის ინტერესების გათვალისწინება დგას დღის წესრიგში, ერთის მხრივ ინვესტორების და ბიზნესის, რომელთა საქმიანობა უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის

ეკონომიკისთვის და მეორეს მხრივ საზოგადოების ნაწილის, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მშენებლობებს, ამ შემთხვევაში ყველა ვთანხმდებით რომ აუცილებელია არსებობდეს ბათუმის ბულვარის განვითარების განაშენიანების გეგმა, რომელზეც როგორც ვიცით მიმდინარეობს მუშაობა. ეს იქნება დოკუმენტი რომლითაც იქნება უკვე კანონით გათვალისწინებული ნორმები და ნაკლებად დარჩება დრო ორმხრივი გაუგებრობისთვის. კერძო სექტორის წარმომადგენლებს ეცოდინება რა შეიძლება და რა არ შეიძლება. გეგმის არსებობა აღმოფხვრის დაპირისპირებას სხვადასხვა მხარეებს შორის. რაც შეეხება „ამბასადორის“ მშენებლობას, აუცილებელია მოხდეს ინვესტორი მხარის წარმომადგენლებსა და „ამბასადორის“ მშენებლობის მოწინააღმდეგეებს შორის შეხვედრები და მსჯელობა. დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, არც ერთ შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში, შეთანხმების გარეშე, მივიღებთ ხან ერთ და ხან მეორე განაწესებულ მხარეს და ზოგადად, დიალოგს და საუბარს წინ არ უდგას არაფერი.

**ირმა აფხაზავა:** აუცილებელია განაშენიანების გეგმის არსებობა. ეს გაცემს მრავალ შეკითხვას პასუხს და არ იქნება დაბნეულობა და დაპირისპირებები. რეალურად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები და გეგმის არსებობისას მსგავს რამეს აღარ შევუკახებით. ვფიქრობ რომ ოქროს შუალედის გამონახვა შეიძლება რაც დიალოგის ფორმატში გაიმართება. გეგმა ეს არის სტრატეგია რომელიც განსაზღვრავს რა გვაქვს, რა გვექნება და რა შეიძლება გვექნოდეს.

**ნათია აფხაზავა:** აქ გვაქვს კანონის დაღვრასთან საქმე. საბჭოს პოზიცია უნდა იყოს აშენდეს თუ არ აშენდეს ეს შენობა ბულვარში. მოსახლეობასთან დიალოგზე არ საუბრობს არავინ. ეს არის საზოგადოებრივი სივრცე და არა ვიღაცის ბიზნესის განსავითარებელი.

**ნინო ინაიშვილი:** ამბასადორის მსგავსი შენობები მრავლადაა, საჭიროა რომ შეჩერდეს ამის მშენებლობა და დაიწყოს საკითხის განხილვა ისე როგორც საჭიროა. ურბანული თვალსაზრისით არ შეიძლება სარეკრეაციო ზონაში მსგავსი შენობის აშენება.

**თამილა მეიშვილი:** ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ. ეს ჯგუფი ხომ არ საკითხს არ წყვეტს, აქ ხომ ეკონომიკის სამინისტრო არ გვესწრება. ეს გოგოები იმდენად არიან ამ ამბებში ჩართული რომ გეუბნებით, მე სრულიად გიჟერთ მხარს და ვამბობ რომ არც მე არ მსურს მსგავსი შენობების აშენება. ეს უფრო სხვანაირად და ღრმად შესასწავლი საკითხია, ჩემი აზრით ამას ჩვენ ვერ გადაწყვეტთ. თუ ჩვენ გვექნება გეგმა უკვე შემდგომ შეგვიძლია რომ ვისაუბროთ დარღვევებზე. ჩვენი ხმა უნდა ისმოდეს.

**თამაზ თურმანიძე:** საჭიროა ამ კანონ-ჩარჩოს ჩამოყალიბება. რაც შეეხება შეთავაზებას, ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ მერს ჩვენი პოზიცია, თუმცა ამ თემას სულ სხვა კომპეტენტური ორგანო წყვეტს. საბჭოს შეუძლია რომ რეკომენდაცია მისცეს, თუმცა ვისაც მივცემთ რეკომენდაციას, ის ამას ვერ გადაწყვეტს.

**თამარ გუდავა:** ეს უნდა იყოს გადაწყვეტილი მოლაპარაკების მაგიდასთან, რომ შეჯერებული იყოს საზოგადოების ნაწილის და ინვესტორის ინტერესები. დიალოგმა უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი და ეს უნდა იყოს ბოლო მშენებლობა ბულვარის ტეროტორიაზე რომელმაც გამოიწვია ასეთი დაპირისპირება.

**თამაზ თურმანიძე:** არსებობს ასეთი ტერმინი „პრეცედენტი“. როდესაც ვიცით რომ წლების განმავლობაში ასეთი პრეცედენტები იყო გამოკვეთილი, ამიტომაც დადგა ეს შედეგი და

უჩნდება ბიზნესს შეკითხვა, თუ სხვას მიეცა უფლება, რატომ არ მაქვს იგივე უფლება მე... პარადოქსი გამოდის. ეს შუალედი უნდა იყოს რეგულირებული.

**ირმა აფხაზავა:** მე არ ვარ ბიზნესის წინააღმდეგი. მშენებლობაც უნდა იყოს, განაშენიანებაც და მრავალი სხვა, თუმცა ყველაფერი რეგულირებული.

**ნინო ინაიშვილი:** ბულვარს აქვს ძეგლის სტატუსი, ესე იგი კანონი არის დარღვეული და ნებისმიერი ახალი მშენებლობა არის დარღვევა. შეკითხვა მაქვს თუ რატომ ჭიანურდება ბულვარის განაშენიანების გეგმის შემუშავება?

**ირმა აფხაზავა:** ჩემი აზრით ბულვარის განაშენიანების გეგმაში არის უამრავი ნიუანსი რომელსაც საკმაოდ დიდი დროც შეიძლება დასჭირდეს. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ 1 და 2 წელი სრულიად მისაღებია გეგმის შემუშავებისთვის. ძალიან გამიკვირდებოდა რომ მცირე დროში დასრულებულიყო ეს ყველაფერი, იმდენად სპეციფიკურია და ვფიქრობ ბევრი წამყვანი სპეციალისტი უნდა იყოს ჩართული.

**თამაზ თურმანიძე:** ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ ჩვენს აზრს მივიტანთ მერთან.

**ალექსანდრე შერვაშიძე:** ერთი საკითხის განხილვა მინდოდა ამავე სხდომაზე. საკითხი ეხება საბჭოთა კავშირის სიმბოლიკების არსებობას ქ. ბათუმის სხვადასხვა შენობებზე, კერძოდ ბარათაშვილის ქუჩაზე, პუშკინის, ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „ძველი ავტოსადგურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აღმართულმა სვეტმა. როგორც ვიცი კანონმდებლობით აკრძალულია მსგავსი ნიშნების არსებობა. მაინტერესებს საბჭოს მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

**თამაზ თურმანიძე:** არცერთ ქალაქში თუ ქვეყანაში არ მიმდინარეობს თავიანთი ისტორიული ნარჩენების ლიკვიდაცია. თუკი ძეგლი რაიმეს „აშავებს“ ან არის პროპაგანდის ნაწილი, მაშინ ეს სხვა საკითხია. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ განიხილება როგორც კანონდარღვევა. კანონში შესაბამისი ცვლილებები შესულია საბჭოთა სიმბოლიკების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**ნათია აფხაზავა:** არ არის აკრძალული იმ შენობებისთვის რომლებიც იმ პერიოდში აშენდა, ვინაიდან ეს არის ამ შენობის განუყოფელი ნაწილი.

**ნინო ინაიშვილი:** მნიშვნელობა არ აქვს ეს იქნება კერძო თუ საჯარო ობიექტი, ისტორიას იცავს ყველა სახელმწიფო, შესაბამისად არ შეიძლება ისტორიის წაშლა.

**ალექსანდრე შერვაშიძე:** გასაგებია თქვენი მოსაზრება. ამ საკითხში აქ უფრო კომპეტენტური პირები ხართ და სწორედ ამიტომ მინდოდა ამ საკითხის დაზუსტება. როგორც ჩანს კანონი გავიგე პირდაპირი მნიშვნელობით და არ მქონდა გათვალისწინებული, რაიმე გამონაკლისი შემთხვევების არსებობის საკითხი. მაღლობა.

**დავით ქობულაძე:** მოგესალმებით მეც დავაფიქსირებ ჩემს აზრს. რაც შეეხება შეხვედრებს რა თქმა უნდა პირად შეხვედრებს მივანიჭებ უპირატესობას, ხოლო რაც შეეხება ბატონ აკაკის წინადადებას, სრულიად ვეთანხმები და ვიზიარებ მის მოსაზრებას ბავშვთა საავადმყოფოს სახელთან დაკავშირებით. ბოდიშს გინდით რომ პირველად გიერთდებით საბჭოს სხდომაზე, პანდემიის გამო მომიწია უმცროს ექიმად მუშაობა.



**თამარ გუდავა:** შევჯერდით, რომ საბჭოს სხდომაზე დასმულ საკითხებს მივიტანთ მერთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან მომდევნო ნაბიჯებისთვის.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -  
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი 15.03.2021

სარეგისტრაციო ფურცელი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	წევრი	
2	აფხაზავა ნათია	წევრი	ონდსინ
3	გულავა თამარ	თავმჯდომარე	ა. გულავა
4	თურმანიძე თამაზ	წევრი	
5	ინაიშვილი ნინო	წევრი	ონდსინ
6	კვირიკაძე მაცვალა	წევრი	მ. ხვირიკაძე
7	ლორია მანუჩარ	წევრი	ონდსინ
8	მაჭარაშვილი რამინ	თავმჯდომარის მოადგილე	ონდსინ
9	მეიშვილი თამილა	წევრი	თ. მეიშვილი
10	ნაკაშიძე ლაშა	წევრი	—
11	ქათამაძე ციური	წევრი	—
12	ქობულაძე დავით	წევრი	დ. ქობულაძე
13	შავიშვილი რუსუდან	წევრი	—
14	შერვაშიძე ალექსანდრე	მდივანი	ა. შერვაშიძე